9 მარტი, 1908 წ

ფასი ყველგან 10 კ.

იუმორისტ. ჟურნალი

# ეშმაკის მათრახი



№ 21




ქეთილშობილური შანტაჟი.

## იაფი კასები.

თფილისშიაც გაგვიჩშირდა
ახალ დანაარსები
საქორწინო, სამარხი
და ორსულთა კასები.

რამდენიც მოემატა
დაუწიეს ფასები,
მერე ვინ ეწერება?!
სულ დაბალი კლასები.

მიაგ-მოაგირავეს
ვერცხლები, ატლასები,
ლამის არი გაყიდონ
ოჯახის ფალასები.

იმედი აქვთ ორმოცში
გაიტანონ ასები,
და აღარ ენანებათ
ოქრო-ვერცხლის თასები.

ჯერ არც კი გაუგიათ
კასას რა აბადია,
მაგრამ ბოლოს ცრემლებით
გაიმსება ბადია.

**შმაგა.**

---

# ახალი ამბები.

**ახალი გაზეთები.** უკვე მზადდება ორი ახალი ქართული გაზეთის ნებართვა: ,,დასაწყისისთვის‘‘, —,,დასასრული‘‘, ხოლო ,,ამირანისათვის‘‘,— ,,დარეჯანი‘‘.

—

**კუმ ფეხი გამოყო...** სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ თფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა მარშალმა უარი უთხრა ია ეკალაძეს ერთდროულ ,,პოსობიეს‘‘ მიცემაზე. ამბობენ: იამ ეს თხოვნა იროდიონ ევდოშვილის მიბაძულობით გააჭრელაო, მაგრამ მარშალმა ევდოშვილის ,,მოღვაწეობა‘‘ წინ დააყენა და 15 თუმანი აჩუქა, ხოლო იას კი ბოლოკის კუდი.

—

**ფედერალისტური სიბრძნე.** როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ჩვენებურ ამირან-დარეჯანიანებს და მეჯღანუაშვილებს განუზრახავთ ,,წერა-კითხვის საზოგადოებაში‘‘ **პარტიობა** მოსპონ, ე. ი. ცამეტ ,,ამირანში‘‘ მხოლოდ ორი ,,ტარიელი‘‘ გაურიონ. ამით რასაკვირველია პარტიობა მოისპობა.

---

## მ ე გ ო ბ ა რ ს.

(ვუძღვნი გურულ მასწავლებელთ).

ოჰ, მეგობარო, გულისა სწორო!
შენი სიშორე ეგზომ ძნელია,
რომ თვით ქვეყანა ფართოდ გაშლილი
უშენოთ ჩემთვის საკანელია.

გულს კაეშანმა კლანჭი ჩაასო,
ზედ დააჩნია მას მწვავე წყლული.
შევება ხალისი სულის წამერთო
და დავალ რაღაც ჩაფიქრებული.

ვისლა გავანდო გულის პასუხი
სრულის იმედით რომ თანამიგრძნობს?
და ჩემ სურვილთა სიწმინდე სიწრფელეს
ვინაა, რომა სავსებით იგრძნობს?

ადამიანზე გულგატეხილი
ხშირათ ბუნების წიაღს შევჩივი,
მაგრამ ჩემს წინ სდგას პასუხის ნაცვლათ
სიცალიერე ჩუმი და ცივი!..

და კვლავ ფიქრები! კვლავ სევდა მწველი!
თუმცა ვერა მძლევს უიმედობა
და გულს კვლავ მითბობს ციური ცეცხლით
მეობადისადმი უცვლელი გრძნობა!

იქ მაინც... დიახ, მოვა ისევ დრო
ჩვენი კავშირი კვლავ გამრთელდება
და ყოველივე, რაც დღეს ხელს გვიშლის
წაიშლება და დაშავბნელდება!

მაშ, მეგობარო, კვლავ გამარჯვება!
და შენც შორიდან მომე სალამი!
თან ეს გვახსოვდეს, რომ კვლავ მტკიცედ სდგას
ჩვენი ცხოვრების დროშა ალამი!..

**ნ. ზომლეთელი.**

---

## ლ ე ქ ც ი ა ზ ე.

დიდხანს მონატრეს გამეცნო ბრბოსი:
,,ფსიხოლოგია‘‘ და გულის ცემა,
მითხრეს ლექციათ ამოერჩია
გედევანიშვილს სწორეთ ეს ,,ტემა‘‘!

მეც გავეშურე დარბაზისაკენ,
სადაც ლექტორი იმ დროს ჰ იებდა,
ვიხილე იგი სავსე ,,პუბლიკით‘‘,
სდუმდენ—არავინ ხმას არ იღებდა!

ბოლოს ,,ტრიბუნა‘‘ კაცით დამშვენდა,
ყველამ მომართა ყური სასმენი,
მეც თავს უთხარი: ,,ჰე, ლეჩხუმელო!
რომ ვერ გაიგო სირცხვილი შენი!‘‘

ვიდექი, ვიდექ—არაფერია!
ვიფიქრე: იქნებ სირცხვილი ვჭამე,
ვაი თუ ყველა კმაყოფილია,
,,რუსულმა‘‘ დამკლა მხოლოთ ერთი მე!

გავხედე იქით: ტურფა არსებამ,
უკმაყოფილოთ ასწია ცაპირი,
აქეთ ერთ მოზრდილ სვანს მოსწყენოდა,
დასამთქნარებლათ დაეღო პირი!

ზოგს ჩაეძინა, და ზოგმაც კიდევ,
ჭერში ,,ელექტრონს‘‘ დაუწყო მზერა,
ამ ყოფით მორჩა კითხვას ლექტორი,
თავის რვეულში რაც ჩაეწერა!

წავიდა იგი, და რომ წავიდა,
ძლივს შეამჩნია ეს მხოლოთ ერთმა,
ტაში დაუკრა გახარებულმა,
გამოგვარკვია, უშველოს ღმერთმა!

წამოიშალენ! ზოგი ყვიროდა:
,,ვაი ფულებო! ჩემი ცოდვაო‘‘,
ზოგიც იძახდა: ,,აფერი უთქვამს,
,,პერერივია‘‘—კიდევ მოვაო!‘‘...

**ნაცნობი.**

## მკლავი შენი..

მკლავი შენი, პროლეტარო,
თუ დაანგრევს, მეგობარო,
თორემ დადგა დრო უმზგავსი,
ყვავ-ყორნების სანეტარო.
ამბობენ, რომ პროლეტარი
უსაქმოა ნამეტარი,
თორემ მასაც ექნებოდა
მამულები და სახლ-კარი.
მერმე იცი ასე მწარი
ვის სდის შენთვის ცრემლთა ღვარი?
ახლა კოტორს, ძველათ ბატონს
დრო რო ჰქონდა სანეტარი
გაჰკივის ის გულ-დამწვარი:
ჩვენ გვყავს გმირი ყოველგვარი,
და შორს ჩვენგან უცხო ტომი
თუ არ ქართველთ მონაგვარი.
გაზეთების მთელი ჯარი
„წიშადური“, „ისარ“-„ფარი“,
„საქართველო ქართველთათვის“
არის ამის მოუბარი.
პირზე აკერიათ „ერი“
ბეჩავი და კუჭ-მშიერი,
რომ მთვრალებმა შემოსძახონ
მათთვის „მრავალ-ჟამიერი“.
მაგრამ შენი, პროლეტარო,
მკლავი გასწმენდს მეგობარო,
რომ ჩვენთვისაც დადგეს წამი
საამო და სანეტარო.

**მოციქული.**

* * *

ცას დრუბელი, მიწას კვნესა,
აქეთ ცრემლი, იქეთ ლხენა,
ანგარებამ შთანთქა აწმყო,
წმინდა გრძნობა, აღმაფრენა.
შრომის დროშა ტალახშია
მტრის ტყვიებით დაფლეთილი,
თვით მედროშის ძვლებით არის
კარ-მიდამო დაფენილი.
ცრემლში სისხლი ილესება,
ხორცით ძღება ყორან ყვავი,
ბორკილ-ხუნდებს არახუნებს
მახარობელთ მძიმე მკლავი.
დედა კვნესის, მამა ტირის,
ეცრემლება სატრფოს თვალი.
წვრილ შვილიან ძალუასაც
გულს უღვივის ცეცხლის ალი.
წელიწადზე მეტი არის
რაც გაბაწრეს მისი ქმარი.
წვრილ ცოლშვილის მარჩენალი
შრომის შვილი უწყინარი.
კითხეთ დედას ის რათ სტირის,
რამ დაჰკოდა გრძნობა, გული,
რისთვის წყევლის თვით გამჩენსაც
რისგანა აქვს მისს გულს წყლული?
ოჰ, მას შვილი ციხეში ყავს
ცოცხლად უწევს სამარეში,
გუშინ უცხო შევარდენი
დღეს კი ჩონჩხი ბნელ არეში.
ეს რათ სტირის თმა ჭაღარა
ან კიდევ ეს ტურფად ქმნილი?
ის რათ დადის დაღრეჯილი
და ხელი აქვს გამოწვდილი.
ნუ თუ მთხოვრად გადაიქცა
წმინდა შრომის მოციქული,
წვრილ ცოლშვილის მარჩენალი
ღონით სავსე, მოწიფული?
აჰა... ეს კი ვინ ბრძანდება
,,დრმა'' რო უჩანს ,,აზრი'' ენა,
აგი გუშინ ეს ამაყი
ქვეყნის ჰირმა შეაჩვენა...
ან კიდევ ის... მარა კმარა
არ ვეხები, ჯერე იყოს...
ან კი ვნახავ ისეთ ვინმეს
რო არ ,,გაიმასქნილიყოს''?

**ვ. მალაქიაშვილი**



## ცხელ-ცხელი ამბები

(რუსეთიდან)

**ქ ნიკოლაევის ,,იზვოშჩიკები'' და პურიშკევიჩი.** ამას წინათ გაზეთ ,,ნიკოლ. კურ.''-ში დაიბეჭდა წერილი, სადაც სხვათა შორის ნათქვამი იყო ჰურიშკევიჩი ისე ილანძღება, როგორც ,,იზვოშჩიკებიო''. ამ წერილს ძალიან გაუბრაზებია ნიკოლაევის მეეტლეები, როგორ თუ ჩვენ ჰურიშკევიჩს შეგვადარეთო, ამდგარან და წერილი მიუწერიათ რედაქციისთვის. წერილში სწერენ: ,,ჩვენ თავის დღეში ისე არ ვილანძღებით, როგორც ჰურიშკევიჩი და ძალიან გვწყინს, რომ ჰურიშკევიჩს გვადარებთ. გთხოვთ მეორეთ არ განმეორდეს ასე-

თი რამ და პურიშკევიჩი ჩვენთან არ ახსენოთ. ჩვენ თავის დღეში ადგილს არ მივსცემთ მას ჩვენ წრეში". წერილზე ხელს აწერს ქ. ნიკოლაევის 102 მეეტლე. ეჭვს გარეშეა ნიკოლაევის მეეტლეებს მოქალაქობრივი გამბედაობა გამოუჩენიათ, მაგრამ ისიც ეჭვს გარეშეა, რომ პურიშკევიჩიც გამოიჩენს ასეთივე გამბედაობას და გალანძღვისათვის მეეტლეებს კრივში გამოიწვევს.

**ახირებული განაჩენი.** რაკი მეცნიერულ გამოკვლევით დამტკიცდა, რომ რუსეთის რევოლიუციის მიკრობები ებრაელები ყოფილან, რასაკვირველია, ამისთვის მათ შუბლში არ აკოცებენ. ებრაელებს, საუკუნოებით სდევნიდენ, მაგრამ ეხლა კი გაორკეცებული ენერგიით შეუდგებიან ამ საქმეს. რევოლიუციის მოსასპობათ დღეიდან ეკრძალება ყველას ებრაელთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრება, ლაპარაკი და გავლა-გამოვლა. ასეთ დანაშაულისათვის, დამნაშავე, ებრაელთან ერთათ, გაძევებულ უნდა იქნას. ამის პირველი მაგალითია ერთი დიდებული გენერლის განაჩენი. ერთ ადგილს ერთ ებრაელთან სცხოვრობდა ერთი ქალი, რამდენიმე ხნის შემდეგ უსიამოვნობა მოუვიდათ და განშორება მოინდომეს. ქალმა ფულები მოსთხოვა კაცს, კაცმა უარი უთხრა. ქალმა უჩივლა იქვე ახლოს გენერალთან. გემერალმა დაიბარა კაცი და ის დათანხმდა ასი მანეთის გადახდაზე. როცა მეორე დღეს მივიდა ქალი და მოსთხოვა პასუხი, გენერალმა გამოუცხადა კაცისაგან ას მანეთს მიიღებ და ჩემგან კიდევ ასეთ განაჩენსო: „რადგან ებრაელთან სცხოვრობდი გაძევებული ხარ ჩემ სამფლობელოდანო".

**სატუსაღოში თავისუფალ ადგილის მაძებარი.** ამას წინათ რუსულ ჟურნალ „ბილოე"-ს რედაქტორ-გამომცემელ შჩეგოლევს ორი თვით დაპატიმრება მიუსაჯეს. შჩეგოლევი დღე დღეზე ელოდა დამატუსაღებენო, მაგრამ ამაოთ. ადგილის უქონლობის გამო ის თითქმის დაივიწყეს. ბოლოს ველარ მოითმინა მან, ადგა და მივიდა თავის ბარგი ბარხანით სამოსამართლო პალატაში და მოითხოვა უსათუოთ მიეცათ ალაგი სატუსაღოში. „თუ არ მოგიციათ აქედან ფეხს არ მოვიცლიო" კატეგორიულათ განაცხადა მან. პალატა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. დიდი ძებნის შემდეგ, როგორც იქნა, იშოვნეს თავისუფალი ადგილი და შჩეგოლოვის სურვილი დააკმაყოფილეს. სწორეთ სახიფათოა ეხლა დაჭერა. გული გაგიწყალდება ადამიანს თავისუფალ ვაკანსიის მოლოდინში.

**გრ. ტოლსტოის იუბილეის გამო.** მხცოვან მწერალ ლევ ტოლსტოის იუბილეის გამო ლაპარაკია აღძრული იშუამდგომლონ გამოცხადდეს ლიტერატორ-დამნაშავეების ამნისტია. ამის შესახებ სახელმწიფო დუმის უკიდურეს მემარჯვენეებს, როგორც მაგალითათ კრუპენსკის და სხვებს განუცხადებიათ, რომ ტყუილათ ნუ ოცნებობთ ამნისტიაზეო. ამნისტია შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა რუსეთი სრულიად დამშვიდდება, ე. ი. შავრაზმელების მეტი ყველანი ხმას ჩაიკმენდენ. დღეს კი ტყუილათ თავს ნუ შეაწუხებთ და დუმაში ნუ აღძრავთ მაგ საკითხს, რადგან ვეცდებით ჩავაფლოთოთ— კრუპენსკი მართალია, ამნისტიაზე ფიქრი ბავშვური ოცნებაა მხოლოდ.

### გაზაფხულის მოლოდინში.

ისევ ყინვა და ქარ-ბუქი
ჯანყი გაჰკვრია ცაზედა
გატიტვლებული ტყე-ველი,
ქვითინებს გლოვის ხმაზედა ..
მაგრამ იმედი, იმედი...
საცაა გაზაფხულდება,
სიცოცხლის წყარო ჩუხჩუხით
მიდამოს მოეპკურება.
დაჰქროლებს სიო საამო
ბულბულიც აჭიკჭიკდება,
გამოიღვიძეთ მაშვრალნო,
საცაა გაზაფხულდება!

**ვ. ჭყონია.**

### გამოცანა.

სარჩულად აქვს იდეია,
პოლიტიკა ზედა-პირათ...
შანტაჟობა პროფესიათ,
ძარცვა-გლეჯა უჩანს ჩირათ.
„ღრმა აზრებით გაჟღენთილმა"
მრეწველობას მიჰყო ხელი
და მდიდარი ჩვენს ქალაქში
არ დატოვა შეუთლელი.
ხან გაქრება, ხან გაჩნდება
პარაზიტი ეს გომბიო...
ვინც ვერ მიხვდეს, ერთი ჯამი
შევაჭამე მას ლობიო.

**რუქა.**

### ჩემს ვარსკვლავს.

ნუ, ნუ ჩაქრები მადროვე
რძე პირს შემაშრეს დედისა,
ამოდი, ამოაშუქე
ვარსკვლავო ჩემი ბედისა.
ცას შავი აკრავს ზეწარი,
ქვეყანას კუპრის გენია,
გააპე ბნელი წყვდიადი
შემოკლდეს ტანჯვის დღენია.
მსურს შევებრძოლო, შევება
გახრწნილ ცხოვრებას ტიალსა
ეგებ მით ხელი შევუწყო
ქვეყნის პირ-წალმა ტრიალსა.

**ვაქირ-ანეელი.**

# მოხსენება

კვლიოზოლის რევიზიისა

(გაგძელება)

**სილოვანს მიმდევრები უჩნდება.** „ეშმაკის მათრახის“ ერთერთ ნომერში ნათქვამი იყო, თითქოს ჩვენს პესტალოცებში ყრმათა აღზრდაში „моментальное сотрясеніе“-ს მეთოდის მიმდევარი მხოლოდ და მხოლოდ სილოვანი არი. სასიამოვნოთ უნდა ვაღვიაროთ, რომ ეს შეცდომაა. ჯერჯერობით ქუთაისში სილოვანის თანამოაზრე გამოდგა ორი მასწავლებელი: ქალ. ლიზა ხოჯევანოვისა—ქალთა პროგიმნაზიის გამგე და ლავრენტი ჯუღელი—ქალაქის სასწავლებლიდან. ესენი ძლიერ ნაწყენი არიან, რათ აგვიგდო რედაქციამ ასე აბუჩათ და სილოვანთან ერთად ჩვენაც არ მოგვიხსენიაო.

**მამების დაუძლურება.** აქაურ უპრავას გადაუწყვეტია დაიქირაოს სპეციალური მოსამსახურეები ქალაქის მამების საბჭოს სხდომებზე მოსაყვანათ, რადგან აგერ მეორე კრება ვერ შედგა საკმარისი რიცხვის დაუსწრებლობის გამო.

**ქუთაისი სამოთხეზე ფიქრობს.** რადგან დღესდღეობით აქ შიშიანობაა, მოქალაქეებმა—კინაღამ ყველამ, ზოგიერთ ურწმუნოთა გამოკლებით, აღსარება სთქვეს და კიდეც ეზიარენ. მღვდლების სიხარულს საზღვარი არა აქვს. იმათ გარდა ქუთაისში დღეს ყველა კრიზისს განიცდის.

**დათიკო მესხს პეტერბურგელ ცირკში იწვევენ.** აქ ხშირათ იმართება სხვა და სხვა საქველმოქმედო საღამოები. საუკეთესო გამრთობი „საზოგადოებისა“ ამ საღამოებზე არის დათიკო მესხი, რომელიც უმეტეს ნაწილათ კითხულობს სხვა და სხვა ადგილებს თავის გამოუქვეყნებელ თხზულებებიდან. ერთერთ საღამოზე უცაბედათ დასწრებია პეტერბურგელი ცირკის წარმომადგენელი. უკანასკნელს დათიკოს ტაკი მასხარაობა ძლიერ მოსწონებია და ცირკში მიუწვევია. საკვირველია ღმერთმანი, ნიჭიერ კლოუნებსაც აღარ გვიტოვებენ ე სატახტო ქალაქები.

**დაიკარგა საზოგადოებ**. აქ ერთ დროს არსებობდა ქართული „წიგნების გამომცემელი ამხანაგობა“. დიდ ფაცი-ფუცში იყო. ორი-სამი წიგნი კიდეც გამოსცა. ახლა ეს დაწესებულება სადღაც უგზო-უკვლოთ გამქრალა. ვერავითარი შერლოკ ხოლმსი იმის კვალს ვეღარ მიაგნებს. ჩვენ მაინც იმედს არ ვკარგავთ და ვეძებთ; თუ სადმე წავაწყდით ტელეგრამით გაცნობებთ.

**გადამწვარ ებრაელების ბედს ძაღლი არ დაუეფს.** გადამწვარი ღარიბი ებრაელები იმ რიგათ შებრალებია აქაურ ბობოლებს, რომ ხელათ შესდგომიან მათ სასარგებლოთ სხვა და სხვა გზით ფულის გაღებას. სულ მოგროვებულა მათ სასარგებლოთ 285 მ. და ოთხმოცდასამნახევარი კაპ. ამ თანხით დაზარალებულები აპირებენ პოლიციის გვერდში მარმარილოს ქვით შენობების აგებას.

**საჭიროა მათრახი და სპერმაკუდინი.** თუ ვინმეს სურს შეისწავლოს ბანქოს თამაში ან ქეიფის სისტემა, შეუძლია მიმართოს აქაურ კლუბისტებს, ან და უკეთესია, აქაურ ნოქართა ერთ ჯგუფს. უკანასკნელთ აქ კარტის სათამაშო სპეციალური კურსებიც დაუარსებიათ. მეცადინეობა იწყება საღამოს 6 საათზე და თავდება დილის 8-ზე. ლექციებს კითხულობენ ისევე ნოქრები. ამგვარათ მუშების განკითარება ხდება როგორც ხედავთ მუშებისავე ხელით. შეიძლება თქვენმა მათრახმა და სპერმაკუდინმა რაიმე დახმარება აღმოუჩინეს მათ.

**მათრახი საჭიროა ქუთათური მკერავებიზაც.** აქაურ მკერვალებს ძლიერ შესტკივათ თურმე გული თავიანთ მუშებზე. ისინი კინაღამ ჯავრით დახოცილან, იმის გამო, რომ ჩვენი მუშები ცოტაოდენ თავისუფლების მოპოების შემდეგ გადაგვარების გზას დაადგენ. ბევრი წუხილისა და ფიქრის შემდეგ გადაუწყვეტიათ: ჩვენი ვალია უბედურებისაგან ვიხსნათ მუშები, მივცეთ წინადადება, უარი თქვან რამოდენიმე წლით ბრძოლის მოპოებულ უფლებაზე და, თუ ნებით არ დასთანხმდენ, მივარტყათ ლოკაუტიო. გადაწყვეტილება სისრულეშიაც მოიყვანეს. მუშებიც ისეთი შეუგნებელი გამოდგენ, რომ არ დაუჯერეს ალებს და მათ წინადადება მისცეს: გამოგვყევით სამედიატორო სმართალში, დეე იმან გაგვსაჯოსო. მკერვალებმა უარი განაცხადეს. შემდეგ მოახდინეს კერძო მოლაპარაკება და მოუთხოვიათ სავსებით აღდგენა ძველი მონური წესებისა. იმასაც კი თხოულობდენ, მოგვცენ ნება ძველებურათ ვიმსახუროთ ახალი პატარა შაგირდები რამოდენიმე წლით სახლშიო.

ამ ამოლაპარაკების შემდეგ ვისაც ჯერ არს მათთვინ ბოიკოტი გამოუცხადებია.

არ იქნება ცუდი ერთი თქვენც მაგრათ უცხუნებდეთ მათრახს ამ ვაჟბატონების ლიდერებს: კოსტავას ცაგარელს და კომპ.

**რევიზორი—ეშმაკი.**



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ორი ეშმაკი

**არკადის პრინცი.**

(სცენა)

(საზოგადოების თხოვნით მეორდება)

პირველი. (მღერის:)
როდესაც ვიყავ არკადის პრინცი
ბათუმს ავაგე
ერთი „ბოლნიცი",
ბაყაყი გვყავდა თავზე საყარათ
შენ გეტრფი მარად
შენ გეტრფი მარად. (მიდის)
მეორე. ბიზ! повторить!
პირველი. (მობრუნდება)
როცა არკადის პრინცი ვიყავი
ჯიბეში ხელი
მე ჩავიყავი,
მაგრამ კაპიკიც ვერ ვნახე მასში
როგორც თელავის
სამარხ კასაში. (მიდის)
მეორე. ვაშა, браво, ბიიიიზზზ!
პირველი. (მობრუნდება)
პრინცი რომ ვიყავ მე არკადელი
პედაგოგობას
მოვკიდე ხელი,
მაგრამ ვერ გავხთი მით პესტალოცი
მასულდგმულებდა
მხოლოდ „თვის ოცი". (მიდის)
მეორე. ზიიიზ! браво!
პირველი. (მობრუნდება)
როცა არკადის პრინცი ვიყავი
ჩვენ „გეორგიას"
გავაძვრე ტყავი,
„გამოსარჩენის" მქონდა ხალისი
მოღვაწეთ მიცნობს
მთელი თფილისი. (მდის)
მეორე. ბიიიზზზზ! ვაშა! ვაშა!
პირველი. (მობრუნდება)
პრინცი რომ გახლდი არკადოვანი
მგოსანი ვიყავ
სახელოვანი...
როცა შევიქენ მოხუც-მხცოვანი
ლექსი დავწერე
მყრალ გემოვანი... (მიდის).
მეორე. ვაშა, ბრავო! ბიზზზზზზ!
პირველი (მობრუნდება)
როცა არკადის პრინცი ვიყავი
სახლში მეწვია
ჩვენი პრისტავი
ამხედ-ჩამხედა და მოვეწონე
(ფულის პატრონი
კაცი ვეგონე!) (მიდის)
მეორე. Еще! бисззззъ! ბიზზზზ!
პირველი (მობრუნდება)
პრინცი როც ვიყავ არკადიელი
ვიყიდე ერთი
თხის კუპრიელი,
ღმერთმა აცოცხლოს „ჩვენი მარშალი"
ღვინისთვის მომცა
ცოტა ნაშალი (გადის)
მეორე. (აუწერელ ღრიანცელს ატეხს)
პირველი. (შემობრუნდება)
როცა პრინცობა ბედმა მარგუნა
გმირი შევიქენ
მე ქალაჩუნა,
მაგრამ რაზმელის რისხვა-მუქარამ
ქართლიდან თფილისს
გამომაქცუნა. (მიდის).
მეორე. (ამტვრევს ყველაფერს...)
პირველი. (რა ქნას, შემოდის)
ვხედავ პრინცობა ყოფილა ძნელი
შემომელია
ახლა სათქმელი,
უკანასკნელსა კუპლეტს გიგალობ
ხელს ნუ აიტკენ
ნულარ მომელი. (გადის).
მეორე. (მაინც ჯიუტობს) ბიიიზ! ბრავოოოოოო!

(ფარდა).

---

## სულიკო.

(მიბაძვა).

ლ:ნჩხუთს წინგთსაცავს ვეძებდი
ზედ სოკო ამოსულიყო
თ:თარი, „გოროდოვოი"
მას შიგან შეკუზულიყო.
კარს მივ:დექი ძველ გამგეს
შკოლაში შემალულიყო,

მივეხმატკბილე: „კირილჯან!
რა უყავ ჩვენი სულიკო?“
შეწითლებულმა კირილემ
ვექსილსა ხელი შეახო
ოცდა ოთხ თუმნის შეჭმაზე
ჩუმათ სთქვა ,,დიახ დიახო‘‘.
კვლავ ბესარიონ შევნიშნე
დახლში, რომ გადასულიყო
მასაც შევკითხე ხმატკბილათ:
,,შენ ხომ არა ხარ სულიკო?‘‘
გულ ამოსკვნილმა ვაჭარმა
ცხარე ცრემლები მაყარა:
ამბექ, ბიქტორმა და სხვებმა
დამიტოვესო აღარა.
ცოტა, სიმონთან შევნიშნე
სოფელში გაფანტულიყო,
ახალ გამგენიც ეძებენ
ჯერ ვერ იპოვნეს სულიკო...
სჩანს სამკითხველოს ქონება
სადღაცა ჩაულაპულიყო,
მე კი ვეძებდი, ვეძებდი
სადა ხარ ჩვენო სულიკო.

**შხანკოლა.**



# პ რ ე ს ა.

დღევანდელმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ ბევრი „პუბლიცისტი“ დააფიქრა და კალამი ხელში აადებია, რომ აეხსნა ეს ჯადოსნური კითხვა. გამოეკვლია რევოლიუციისა და რეაქციის გამომწვევი მიზეზები და გამოენახა საშუალება რუსეთის ამ მდგომარეობიდან გამოხსნისათვის. ალბათ ჟამთა ვითარების გამო, რაკი სინამდვილეში ვერ დაუნახავთ მიზეზები, პუბლიცისტები ეშმაკებში და ქაჯებში ეძებენ. აი რას სწერს გაზეთ „სლოვოში“ ბერდიაევი:

„რევოლიუციის სიგიჟე გათავდა, რევოლიუცია დამარცხდა და დაიწყო რეაქციის სიგიჟე. წაგებულ რევოლიუციას მუდამ ცუდი შედეგები მოსდევს, მისთვის შურს ძიებენ ის პირნი, რომლებმაც თუნდაც ერთი წუთით დაკარგეს თავიანთი მდგომარეობა. რუსეთს შ ე უ ჯ დ ა ე შ მ ა კ ი (ნეტა რომელი ეშმაკი იყო? „ჩვენი“ ქალაქიდან არ გასულა კარგა ხანია?—ირ.) აქედან ის ხან რევოლიუციაში გადაძვრა, ხან რეაქციაში, ხან რ ვოლიუციის სახე მიიღო და ხან რეაქციის. მეორე დუმაში დაგიჟდენ მემარცხენეები, მესამეში კი მემარჯვენეები, მთავრობა და მის წინააღმდეგ მებრძოლი რეაქცია და რევოლიუცია ეშმაკს შეუბოჭავს და აწვალებს“.

საკვირველ არიან უფალო საქმენი შენნი! ბერდიაევს, რომ ბოლოს მიუგნია რევოლიუცია-რეაქციის გამომწვევ მიზეზებისთვის ეჭვს გარეშე. რასაკვირველია, წყეული და ღვთის პირიდან გადავარდნილ „ეშმაკს“ ყველაფერი შეუძლია. უნდა რევოლიუციას იზამს და უნდა რეაქციას. ახლა ხომ რეაქციაა, ეშმაკმა, რომ მოინდომოს ხელათ რევოლიუციას იზამს და მერე კიდევ რეაქციას. ამ საშინელ მდგომარეობიდან თავის დასახწევათ საჭიროა ბერდიაევი მღვდელმთავრათ იქნას ხელდასხმული და რუსეთის მცხოვრებლები ბერებათ. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ეშმაკის განდევნა და რევოლიუცია-რეაქციის ბოლოს მოღება. ამასვე ქადაგებს პუბლიცისტი ბერდიაევი და მართალიც არის.

* * *

ბერდიაევს ,,ნოვოე ვრემია‘‘-ს პუბლიცისტმა ვალიშევსკიმ აჯობა. ის ამბობს, რომ რევოლიუციის გამომწვევი სრულებით ეშმაკი არ არის. ის მისტიკურ შეხედულებას უარ ყოფს და ნამდვილ მეცნიერულ ნიადაგზე ამყარებს თავის გამოკვლევას. ამ გამოკვლევათ მან საბოლოოთ აღმოაჩინა რევოლიუციის მიკრობი.—ეს თურმე ებრაელებია. აი რას სწერს ვალიშევსკი:

„დიახ, მე მოწამს, რომ რევოლიუციის გამომწვევი მთავარი მიზეზები, ებრაელები არიან, რომლებიც, როგორც ოცი საუკუნის წინათ, რევოლიუციის მიკრობებს წარმოადგენენ“.

დიახაც რომ მეცნიერულია ვალიშევსკის გამოკვლევა. მეცნიერული თვალით რომ შევხედოთ ებრაელები არიან რევოლიუციის გამომწვევი მიზეზები, ხოლო მისტიკური შეხედულებით კი ეშმაკები. რასაკვირველია ორივე შეხედულება სამართლიანია, ხოლო ორივე შეხედულებით ერთათ რომ შევხედოთ გამოვა, ებრაელებს ეშმაკები შესძრომიათ, ებრაელები კიდევ რუსეთს შესძრომია და რევოლიუციას ახდენს. რაკი რევოლიუციის გამომწვევი მიზეზები გავიგეთ ეხლა საჭიროა სასტიკი ზომების მიღება ამ მიზეზების თავიდან მოსაშორებლათ. ამის შესახებ ვალიშევსკი გვირჩევს:

„ებრაელებიდან განთავისუფლება რუსეთისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხია. საჭიროა საბოლოოთ თავიდან მოვაშოროთ ებრაელები“.

როგორ და რა გზით ამას არ ამბობს ვალიშევსკი, რადგან ეს თვით ,,ნოვოე ვრემიამ‘‘-აც კარგათ იცის. ბერდაევი გვირჩევს ეშმაკების განდევნას, ვალიშევსკი კი ებრაელების. ჩვენის აზრით ჯერ საჭიროა ებრაელებიდან განდევნილ იქნას ეშმაკები და მერე თვით განდევნონ, თორემ ეშმაკებიანა განდევნა სხვა სახელმწიფოსთვის სახიფათოა. მეცნიერული გამოკვლევაც ამას ქვია!

**ირ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართველი მოღვაწეები.



### პეტრე სურგულაძე

**პირველ კანში**

**სიჭაბუკე პეტრესი.**

დღეს ყველასაგან ცნობილი „საზოგადო მოღვაწე“ პეტრე სურგულაძე ძველათ პატარა ბავშვი იყო და დაიბადა გურიის ერთ-ერთ სოფელში, მეცხრამეტე საუკუნის მესამოც და ათე წლებში. პირველ დაწყებითი სწავლა-განათლება ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელში მიიღო, სადაც ცნობილი იყო ამხანაგთა შორის განდეგილობით და გაუტანლობის გარეშე ჯერ არავითარ ნიჭს მას შიგან თავი არ ეჩინა.

**სამასწავლებლო ინსტიტუტში.**

სამოქალაქო სკოლიდან, სწავლა-განათლებას უზომოთ მოწყურებული პეტრე თფილისის, საოსტატო ინსტიტუტში შევიდა და ოსტატი კაციც გამოვიდა.

**მეორე კანში.**

**უკიდურესი იდეალისტობა.**

ახალგაზრდობა საზოგადოთ აღფრთოვანების ხანაა და განსაკუთრებით პეტრე კი თითქმის ჰაერში დაფრინავდა. მე, როგორც მოხუცსა და ბევრის მნახველს, მახსოვს მისი აღტაცებული სიტყვა სოფლის მასწავლებელთა კრებაზე სააბრეშუმო სადგურში, სადაც ის უსაყვედურებდა სოფლის მუშაკებს უენერგიობასა და სულით დაცემას. მახსოვს აგრეთვე მისი საოცნებო დროს გატარება ბახმაროს დაჩაზე, ესეც მეტხრამეტე საუკუნეში.

**მასწავლებლობა.**

საქართველოს ცოტა ყავს მოღვაწეები და მეტადრე გამოცდილი პედაგოგები, რომელთა შორის, პეტრეს ბევრი ვერ წაეცილება. როგორც მოგვითხრობს მეცხრამეტე საუკუნის ისტორია, პეტრე მასწავლებლობდა შემდეგ ადგილებში: სოფ. წინამძღვარიანთ კარში, (2—3 თვე) თფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში: ქუთაისის სააზნაურო სკოლაში. თფილისის საფერშლო შკოლაში: მიხაკო შარაშიძის პანსიონში და სხ. როგორც მასწავლებელი, ის ყოველთვის ნამდვილი პეტრე იყო.

**მესამე კანში.**

**„კვალის“ რედაქცია.**

ამ ხანებში „ჩვენი“ პეტრე ეგრეთ წოდებულ მესამე დასელთა ჯგუფს ეკუთნოდა. ის ენერგიულათ მუშაობდა „კვალის“ რედაქციაში, რადგან სხვა და სხვა მიზეზთა გამო ამ დროს ბედაურები ჩამოშორდენ რედაქციას და მოედანი როგორც ანდა ევდოშვილ პეტრეს დარჩათ. ევდოშვილთან ჩხუბის შემდეგ პეტრე გაბატონდა რედაქციაში, მაგრამ თოფურიძის ჩამოსვლასთან ერთად მის მბრძანებლობასაც მოეღობოლო.

**მეოთხე კანში.**

**„ივერიასთან“ დაახლოება.**

პეტრე ნამდვილი „ორგანიული“ არსებაა, რომელიც დროთა ვითარებასთან ერთად იცვლება და შესაფერ მდგომარეობას ეგუება. როცა „მესამე დასი“ სიტყვიდან საქმეზე გადავიდა და მდგომარეობა უფრო ძნელი ასატანი დარჩა, გამოცდილი პეტრე განზე გაუწვა და ნელ-ნელა „ივერიისკენ“ გადაცურდა, თუმცა ღვანღვალა კუდს ზოგიერთების შესახედავათ ჯერაც აქიცინებს.

უშიშ მდგომარეობასა და სახელის გადიდებასთან ერთად მეოთხე კანში გადასვლამ ქანქარის საქმეც შესამჩნევად გამოაბრუნა.

**გოგიჩაიშვილთან დაძმობილება.** განახლებული „ივერიის“ ალა, როგორც მოგეხსენებათ გოგიჩაიშვილი იყო და პეტრეც იმას გაუგორდა, თუმცა ამ დროს განახლებულის რედაქტორი ძლიერ კოტრათ იყო თანამშრომლებზე და პეტრეზე უუგუნურესსაც არ დაიწუნებდა. მალე გამოიჭიმა „ივერიის“ შუბლზე პეტრეს „მოწინავეები“, რითაც მისი სახელი ერთი-ორად გაიზარდა.

**სკოლაში ნიადაგის მზადება.**

პეტრე სურგულაძე არც ისეთი ვინმეა, რომ საუკეთესო მომავალს ვერ განუჭვრიტოს. მან მშვენივრათ იცოდა, რომ ჭირიანი „ივერია“ ზუბალოვის ფულებით ვერ მორჩებოდა და საჭირო იყო მკვიდრი ბუდის მონახვა. შემთხვევაც მალე მიეცა. როცა გოგიჩაიშვილმა კრიტიკული თვალით შეხედა

სააზნაურო სკოლის მასწავლებელთა მოქმედებას, „დაჩაგრულებს“ პეტრე გამოექომაგა და ამით მოიგოსკოლის „იადრის“ გული.

ცახზე ასვლა.

**სათავადაზნაურო სკოლაში.**

„ივერიაში“ გამოქომაგებისა და „ძველი“ ქერქის გამოცვლის შემდეგ, სააზნაურო სკოლის „იადრომ“ პეტრე მასწავლებლათ აირჩია, სადაც დღესაც ასწავლის უმცროს კლასებში გოლიჯვარსა და ოთურმას.

**პეტრე, ორატორი.**

როგორც ორატორმა, პეტრემ თავი ისახელა 9 დეკემბრის წერაკითხვის კრებაზე, სადაც თავგამოდებით იცავდა იმ აზრს, რომ „წერა კითხვის“ საზოგადოებამ საქართველოს სიძველენი უნდა იკვლიოსო. ეს რეჩი იმდენათ კარგი იყო, რომ თითქმის ყველა ფედერალისტებმა ტაში დაუკრეს.

**პეტრე, მსაჯული.**

პეტრემ თავი ისახელა აგრეთვე როგორც „მართლ-მსაჯულმა“. ის დანიშნა სიფაქიზით ცნობილმა „ნიშადურის“ რედაქტორმა ვალერიან გუნიამ თავის მედიატორეთ „ხარბინის ფულის“ შესახებ. აქ პეტრემ გადააჭარბა მართლ-მსაჯულებაში ისეთ გავარდნილ ფედერალისტს, როგორიც არქიპოზ მუსხელოვია.

**კუჭის საკითხი.**

იმ დროს, როცა პეტრე „მესამე“ დასს ეკუთნოდა ე. ი. ფედერალისტურათ „კუჭისტი“ იყო, დაახლოებით 800 ქანქარს იღებდა წლიურათ. დღეს კი, როცა ფედერალისტებში მოიკალათა და მაშასადამე „უკუჭოთა“ სიაში ჩაირიცხა მას მხოლოდ 2000 ქანქარი ეძლევა და სათავად-აზნაურო სკოლის ცახზე ასული, არხეინათ ქსოვს თავის კეთილდღეობის პარკს.

**ისტორიკოსი.**



**ს ა ტ რ ფ ო ს.**

საუკუნო სატრფიალო,
მშვენიერო, უტურფესო,
ჩემის გულის სასოებავ,
სიცოცხლეზეც უკეთესო!

შენს ძებნაში დავიღალე,
მარა ვერსად დაგინახე,
მერმე სიკვდილს არ ვჩივოდი,
ერთხელ მაინც რომ მენახე!

ათას ფრად და ათას გვარად
ოცნებაში აღმიდგები
და მონატრე შენის ხილვის
ფოთოლთ შრიალს ვაკვირდები,

ლურჯ ცაიგშიც შენ დაგეძებ.
რონ ციმციმებს ვარსკვლავთ კრება,
ამომავალ მზესაც ვამხელ,
რომ მე სატრფო მენატრება,

ტყეს შევჩივი, მთას შევსტირი,
და ზღვას ცრემლებს მე ვუერთებ,
და დღე მუდამ შენზე ვფიქრობ,
შენ გნატრობ, და შენ გალმერთებ!

მარა შენ კი... ოჰ, უგულოვ,
ოდნავაც არ გებრალები!
თითქოს ჯიბრშიც კი მიდგიხარ:
გამირბი და მემალები!..

ეფარები რაღაც ბურუსს,
გაქვს სამყოფი მიუალი,
მარა გული არ მიტყდება
და ვარ შენსკენ მომავალი.

„გძებნი! გნახავ! მოგეხვევი!“
გულში ასე გადავსწყვიტე,
რადგან ვერ ვძლებ მე უშენოდ
ხელთ გაქვს ჩემი სულის კლიტე.

არას დავდევ გზის სიძნელეს,
ვერ მაშინებს ეკალ-ნარი
და ვიძახი: „წინ, წინ მედგრად,
სადაც ჩემი სატრფო არი!“

საუკუნო სატრფიალო,
მშვენიერო, უტურფესო,
ჩემის გულის სასოებავ,
სიცოცხლეზეც უკეთესო!

შენს ძებნაში დავიღალე,
მარა ვერსად დაგინახე!
კვლავ სიკვდილსაც არა ვდარდობ
თუ კი ერთხელ მაინც გნახე!..

**ნ. ზომლეთელი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# წერილები ეშმაკისადმი

**ასკანიდან.** „ასკანას ყავს ერთი მღვდელიო“, სწერდა კორესპოდენტი ,,ნორდ-კინი“, მაგრამ ასკანას კიდევ მეორე მღვდელიც ყავს: წინად პოლიციელი, შემდეგ მღვდელი და ამ ბოლო დროს ექიმიც. ამ არსებას, როგორც მკითხველი დაინახავდა, ცვლილების სამი საფეხური გაუვლია, თუმცა რა თქმა უნდა შესაფერისი ცვლილება ვერაა. პოლიციელიდან მღვდელი—კიდე ჰო, მაგრამ შემდეგ ეს ექიმობა რაღაც ვერაა მოხერხებული ისე, როგორც თვით ეს პროფესია არ ეხერხება აღნიშნულ „კეთილსახიერს“. თუმცა რა თქმა უნდა, თუ კი სახეში მივიღებთ იმას, რომ მღვდელს თითო მიცვალებულზე ორთა შუა რიცხვით ხუთიოდ მანეთამდე „ხეირი“ მაინც ექნება ღვთისმსახურებისათვის, ისეთი ექიმობა, როგორსაც „მისი კურთხევა“ ეწევა, ძალიან სარგებლიანი საქმეა, რადგან აქ ის მიცვალებულზე ცალკე „განკურნებისათვის“ იღებს შრომის ფასს და ცალკე „განსვენებისათვის“, მაგრამ დრო კია, რომ ასეთ არა სასურველ მოვლენებს დაედოს სასურველი წამალი. განა ექიმობის დაჩემებისათვის მარტო ლათინური გრამატიკის ცოდნა კმარა?! მერმე სად არის ამ დროს სოფლის შეგნებული ელემენტი? ნუთუ ჩაილულის წყალი უნდა დალიოს ასეთმა სერიოზულმა საკითხმა? მე არ მგონია! ყოველ შემთხვევაში ვსთხოვ რედაქციას, გამომიგზავნოს ს. გვაბრათში (ასკანის საზოგადოებაა) 60 წვეთი სპერმაკუდინისა, რადგან ის ან მღვდელს კი დასჭირდება ან მრევლს.

ორიოდე სიტყვა ადგილობრივ „სტარშინაზედაც“. თუმცა ეს არსება ჯერ ცვლილების პირველ საფეხურზეა, ე. ი. პოლიციელობისაზე, მაგრამ გვიკვირს: ამდენ ჭამასთან ამ მამაცხონებულს რატომ ცვლილების ნიჭი კი არ დაჰყვა? შეიძლება მეტის ჭამისაგან მუცელი აქვს დამძიმებული, რომელიც შემდეგ საფეხურებზე ველარააქვს, თუმცა მგონია, რომ მასწავლებლების ჯამაგირი ამდენს ვერ იმოქმედებდა. ყოველ შემთხვევაში ვსთხოვ რედაქციას, იმავე ადრესზე გამომიგზავნოს კიდევ 60 წვეთი კუდინისა, რათა ის სავსებით გადავაყლაპინო აღნიშნულ პირს, რომ ამის შემდეგ მაინც ეშველოს რამე მის მიერ ჩაბანდული ანგარიშების გაწმენდას.

**მეზობელი.**

—

## აკორდის მოტრფიალე.

შენი ჭირიმე „აკორდო“!
შენს სახელს ვენაცვალები
აწი რათ მინდა გაფიცვა
მას კი დაუდგეს თვალები.
კამფეტის ფული ბევრი მაქვს,
არც ღვინოს დავემალები
დიაგონალის შარვლითა,
ქალებს ავუბი თვალები
დროზე მომისწარ ძვირფასო
მცველ ანგელოზათ, ღმერთადა,
თორემ მეც მიმაბრძანებდენ
ციხეში სხვებთან ერთადა.
შენი ჭირიმე „აკორდო“!
შენს სახელს ვენაცვალები,
რა მოხელეა გაფიცვა
მას კი დაუდგეს თვალები.

**ალ. ზაგლობა.**

---

## გამოცანა.

ჩვენ გიორგის მარჯვნით უზის
იწვართება, როგორც ჭია
საქმე განზე გადააწყო
რაკი გაძლა და არ შია.
წვერს იღებავს, ულვაშს არა
ლიბერალობს ჩვენი ივან,
თუ მის წარსულს მოიხსენებთ,
სანდროს კითხეთ რა ქნა იმან.
ყობოიას ჭითა ცხენი
ხომ გაყიდა ზედა ქვიტირს,
ტეპერ ვიჟუ, რომ დიდკაცობს
პრავდუ სკაზათ მეტათ მიკჟირს.

**მოლა.**

**ჭიათურიდან.**

შენი ჭირიმე ეშმაკო
პატრონო მათრახისაო.
გვესტუმრე ჭიათურელებს
გადაგვარჩინე ჭირსაო.
„ტელეფონები" გამრავლდენ
აღარ გვაძლევენ ძილსაო,
ძმა ძმას ველარა ნდობია
ცოლი—ქმარს, მამა—შვილსაო.
ხაზეინები ტყავს ხთიან
მუშა ხალხს დავარდნილსაო,
და აი, შველა გვჭირია
„ეშმაკის მათრახისაო".
უთუოდ ინახულებდე
გიგია ბრეგვაძესაო,
დროთი სარგებლობს და მუშებს
უზომოთ ადენს წვენსაო,
„სპერმაკუდინი" განაურნავს
ამ ახალ-მოდის სენსაო.

**პ. ქარჩხაბელი.**

—

**დიდი ჯიხაიშიდან.** ეშმაკო! შენმა „კუდინმა" კარგათ იმოქმედა აქაურ „ავადმყოფებზე". ისონი ახლა უფრო დამშვიდებით ადგენს სიას. ამასთანავე გთხოვთ ალ. ხარაბაძეს არ მოაკლოთ თქვენი ძვირფასი ყურადღება „პილატეს ცრემლი" უყვარს და „ბუნტოვჩიკის" ბინის მაგივრათ ხშირათ სამიკიტნოს მიადგება ხოლმე. ილარიონსა და ანტონს შორის მომხდარი ინციდენტი, უკანასკნელის „გამოიარაღებით" გათავდა.

**ჯათუ.**

—

**ხაშმი.** ძმაო ეშმაკო! ხაშმელ შავ-რაზმელთ.
გადმოუქნიე მათრახის კუდი...
კანი აუწვი „იმედისტებსა„
დღე გაუთენე შავ-ბნელი, ცუდი.
თუ შეიპარო ჭურჭუტანიდან
შავ-რაზმელ კრებას უთხარი რომა,
ხელი აალონ სასირცხო საქმეს
„ამაოა-თქო ეგ თქვენი შრომა".
თანვე გაფრთხილებ ამა კრებაზე
ნახავ ერთ ვინმე „ახმახ-ტანიანს"
მათრახი მაგრა გადაუჭირე
იმედაშვილთან ამბის ტანიას.
იქვე იქნება ერთიც ნიკორა,
მასაც გადაჰკარ ზურგზე მათრახი
და მოახსენე, რომ მის ნათლიას
ველარ უშველის ვაი-ვაგლახი.
ნულარც „ჩოჩლიკას" დააკლებ გულსა
აგი იმათი ,,ორატორია''
თუმცა არ უჭრის ენის ჭახრაკი,
,,იმედისტებში'' არ ყავს სწორია.
სინდის გაყიდულს და ტვინ გაფხეკილს
ჩააგინებდე ამათ მეთაურს
რო შავრაზმელი აგიტაცია
ველარ უშველის აწე უბედურს.

**იადონი.**

—

**ბალაჯარი.** ძმაო ეშმაკო! აუცილებლათ გამოგვიგზავნე რამოდენიმე ყანწი ,,სპერმაკუდინი'' აქაურ რკინის გზის მოსამსახურეთათვის, თორემ მათ ლანძლვა-გინებას და კარტობანას დასასრული არ უჩანს.

მაგ შენი გრძელი მათრახით
ჩამოგვიარე ჩქარაო,
თორემ ამათმა გინებამ
ქვეყანა გაამწარაო.
არც მუშტებს ერიდებიან
თუ კი წაავეს ფარაო.
უშენოთ მათი განკურნვა
არ მოხერხდების, არაო.

**ტ. ტერეზისკუა.**

—

**ხონიდან.** ძმაო ეშმაკო! ნუ თუ ჩვენს სანიტარულ კომისიას ასე შერჩება ესოდენი უსაქმობა? აგერ ორი თვეა რაც აირჩიეს და ერთხელაც არ გახსენებიათ რისთვის არიან არჩეული. მიუხედავათ ამისა ბაზარში ისეთი უსუფთაობაა, როგორიც ნამდვილ ჭიათურაში. თითო მათრახის კუდი თუ მოუხდება ამათ, თორემ ყოველ შემთხვევაში წყენით არ აწყენს.

**უ—ი.**

—

**ახალ-სენაკიდგან.**

ეშმაკ, ძმაო ნიკოს იცნობ?!
სენაკიდან „კანტორჩიკსა"
ხალხში გადის თავი მოაქვს:
„არ იკარებს კუდზე ბზიკსა",

მაგრამ შედის კანტორაში,
აქ მას ღმერთიც ავიწყდება
და ქანქარი საცოდავ ხალხს
მისგან ბლომათ გარდახდება.

უნდა ვსთქვა რომ ოსტატობით
განთქმულია ჩვენი გმირი:
მან ქრთამს გარდა შემოილო
ხარკი ორა პირდაპირი.

თვისი „ხრიკის" ბნელ-საყოფათ,
ასე სჯერა ამ საბრალოს,
ვითომც კმარა,—შტემპლის დასმით
ციფრთლალადი რომ დამალოს.

მაგრამ გთხოვ, რომ დაარიგო:
ამგვარ შტუქებს უშვას ხელი,
და ხუთიოდ უთავაზე
მათრახი ზურგ ასაწველი.

**ონისიმე.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

### ბათუმის საავადმყოფოს მიმართ.

ბათუმის საავადმყოფოს
კვლავ მსურს მივხედო წესებსა,
და კვლავ უნდა ვსცხო მათრახი.
ესკულაპების ბეჭებსა...
ვკითხოთ მათ: ავადმყოფებთან
მიბრძანდებიან დროზედა?
იქნებ ეკარგვით მათ ეს დრო
კერძო პრაქტიკის გროშზედა?..
ვკითხოთ: მსახურნი ავათმყოფთ
ხომ არ აკრავენ ტახტზედა?
და თუ კი, კუდი მათრახის
რათ არ უნდა ვსცხოთ თავზედა?..
კვლავ ვკითხოთ ამა ბრძენებსა:
სნეულნი, ვინც იქ მისულან,
შორს მხარეს „კარგის მოვლითა“
რამდენი გამგზავრებულან?

**კენტი.**



### მ ო გ ო ნ ე ბ ა...

...ის არ იყო დაჩვეული
შვება-ლხენის ნეტარ წამებს
და არც ახსოვს მოსვენება
ცხოვრებისგან განაწამებს.
იმ თავიდან გამოვიდა
თავ-განწირვით ბრძოლის ველზე
და დაიწვა წმინდა სანთლათ
სახალხო საკურთხეველზე.
ისტორიის წითელ რვეულს
შეემატა ერთი გმირი,
ვინც იცოდა, თუ რა იყო
ტანჯულ ხალხის გასაჭირი.
ვინც ხალხისთვის დაიტანჯა,
დაიწურა ჭირის ოფლათ
და მით კვალიც წაუშლელი
აქ დასტოვა წუთის სოფლათ.
იმის ხსოვნა ამხანაგებს
აღბეჭდიათ გულზე დაღათ
და ხმარობენ იმას ხშირათ
ჭირში ძლევის ბაირაღათ...

**ნ. ზომლეთელი.**

### „უჩინარიძეს“.

აბა მგლებო,
ხალხის მტრებო
მოჰყევთ განგაშს „სასახელოს“
რადგან იცით,
მართალი გზით
ვერ გაიტანთ თქვენსა ლელოს.
ნოეს კიცხავთ
„თქვენ მზეს“ ფიცავთ
რომ მუშებმა დაიჯერონ
თქვენი რჩევა
აზრთა რწყევა
ტანჯულ გულზე დაიწერონ.
არა ძმებო,
ძველის ყმებო
ვითომ ხალხის მეგობრებო
არ სჭრის თქვენი
განაჩენი
რომანტიკო მეზობლებო.
მსგავსი თქვენი
„ქართლის“ ძენი
სჯობს მიბარდეს ისტორიას
რადგან თქვენთვის
მოლაყბეთვის
არ სცალია ჟორდანიას.

**მოციქული.**

---

## ეფისკოპოზის სიზმარი.

**ეფისკოპოზი.** (ჩასუქებული შუახნის კაცია. მაგიდასთან მივა და ზარს რეკავს. შემოვა მოსამსახურე და ხელზე ემთხვევა) ივანე! სანამ მე არ დაგიძახო, არც შამოხვიდე და არც სხვა შამოუშვა ვინმე; დასაწერი მაქვს ცოტა და ჯერ ის უნდა გავათავო, თორემ მერე დამლალავენ და ვეღარას დავსწერ.

**ივანე.** როგორც მიბრძანებთ თქვენო უწმინდესობავ! (გადის).

**ეფისკოპოზი.** უწმინდესობა სინოდს ეკუთვნის მარტო, მაგრამ იქაც ჩემისთანა ეფისკოპოზები არ არიან? თუკი ისინი უწმინდესნი არიან, მე ვილაზე ნაკლები ვარ. (მიიხედ-მოიხედავს) ცოტა დავნაყრდე, რომ შემდეგ უკეთ შევსძლო ღვთის სამსახური. (მივა შკაფთან, გამოიღებს ყველს, ძეხვს, მოხარშულ ქათამს, ღვინოს, სათითაოთ სდგამს მაგიდაზე, მოაქვს დიდი ყურიანი სტაქანი, აამსებს ღვინით, მოუჯდება მაგიდას და შეექცევა, თან აქეთ-იქით იხედება. აიღებს ჭიქას, ასწევს მაღლა, მეორე ხელს ზეცისკენ აღაპყრობს) ღმერთო, შენ უკეთ უწყი, რომ მე კუჭი მტკივა და სნეულებს შენ თვითონ მიეცი მარხვის ჭამის ნება. იდიდოს უფალო, სახელი და ძლიერება შენი. (დასცლის ჭიქას, დადგამს და გაამსებს. შემდეგ სჭამს) იქითა კვირაში უნდა დავუარო ჩემს სამწყსოს და იქ ხომ ვერა ვჭამ ხორცს. ხალხმა რომ ეს გაიგოს, ხომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეცა სარწმუნოება და გაირყვნა ყველა. არა და რავქნა. ჩემი მოშლილი და დასნეულებული კუჭი როგორ აიტანს სამარხვო საჭმელებს? (აიღებს ჭიქას ხელში) ქრისტე მაცხოვარო, შენი სახელის დიდება შევსწირე დღენი ჩემნი. სიცოცხლე და ბედნიერება ჩემი. შენი გულისათვის ვუარვყავი ყოველივე ამ ქვეყნიური და მე არასფერსა გთხოვ: მხოლოთ მომიხსენე უფალო სასუფეველსა შენსა, ვითარცა ავაზაკი მარჯვენითა შენსა მდგომი. (გადაჰკრავს და პირჯვარს გადიწერს) არა ჩემი დეკანოზი არ უნდა მოვიშორიო. ერთხელ მარხვის ჭამაზე წავისწარი და ღვთის წინაშე მიამა. ახლა თან წავიყვან, პატარა ჩამადანში წამოვაღებიებ ქათამს და სხვა და სხვა ზაკუსკეულობას და ორივე ერთათ შევექცევით ხოლმე, როცა კარებს ჩავიკეტავთ მოსასვენებლათ რევიზიის დროს. საერთო სადილზე კი არასფერს არა ვსჭამ და ეს ხალხზედაც გავლენას იქონიებს: ჩვენ ეფისკოპოზს ცოტა ჭამა სჭირდებიაო. (პაუზა. სჭამს) თუმცა ჩემი გარეგნობა არ ამტკიცებს, ვითომ მე ცოტასა ვსჭამდე, მაგრამ იფიქრებენ: ლოცვა და ღვთის ვედრება ასუქებსო! მართალიც არის: ლოცვა ადამიანს ამხნევებს, ძალღონესა მატებს! (გაამსებს ჭიქას) სულო წმინდაო, იყავნ მუდამ ჟამს ჩემთა თანა და განანათლე გონება და გული ჩემი ღვთიურითა ნათელითა შენითა. (დალევს, კიდევ გაამსებს და სვამს. ამ დროს კარებთან ხმაურობა მოისმის. ეფისკოპოზი წამოხტება და საჭმელებს გაზეთს აფარებს. ხმაურობა მიწყდება). მე თქვენ გიჩვენებთ სეირს. ეს ნამდვილათ სოფლის მღვდლები არიან. ჩამოეთრევიან აქ და არც ზრდილობისა აცხიათ რამე, არც უფროსის პატივისცემა იციან. დამაცალეთ, დამაცალეთ. შიშის ქარებს გაგიჩენთ მე თქვენ გვერდებში და გასწავლით მორჩილებას. (ხმაურობა ისევ ისმის) დავმალო ყველაფერი, თორემ ნამდვილათ აქ შამომიცვივდებიან. ყველაფერს შკაფში ინახავს, დაკეტავს და გასაღებს ჯიბეში ჩაიდებს, შემდეგ დაჯდება, გაისწორებს კაბას, მრისხანე სახეს მიიღებს და ზარს რეკავს. შემოვა ივანე). რა ხმაურობა იყო? განა არ იცი, რომ მე აქ ვსწერდი? ღვთის სამსახურსაც არ დააცლით ადამიანს.

**ივანე**. მღვდლები წეიჩხუბენ, თქვენო უწმინდესებავ, სულ დედმამა აგინეს ერთმანერთს.

**ეფისკოპოზი**. რა ჰქონდათ მერე საჩხუბარი?

**ივანე**. რა მოგახსენოთ. თქვენ რომ ერთი მეორის ადგილზე გადაამწყსეთ, ისინი უნდა იყონ.

**ეფისკოპოზი**. დაუძახე რიგ-რიგათ. (ივანე გადის) მე მათ ვაჩვენებ ღვთის რისხვას. (გაიღება კარები, შემოვა შუახნის სოფლის მღვდელი და დაბლათ თავს უკრავს).

**მღვდელი**. მაკურთხე ყოვლად სამღვდელო!

**ეფისკოპოზი**. (ხელს უწვდის. მღვდელი ჰკოცნის და შემდეგ განზე დადგება) რა გახმაურებდათ! ღვთის ვედრებაც კი არ უნდა დამაცალოთ?!

**მღვდელი**. შემინდე, ყოვლად სამღვდელო! მარა მამა კირილე რომ დავინახე, გულმა აღარ მომითმინა. მეც ვაწყენიე, იმანაც მაწყენია და ამაზე შეგვექნა ლაპარაკი.

**ეფისკოპოზი**. მერე დაგავიწყდათ, სად იყავით?

**მღვდელი**. შემინდე, ყოვლად სამღვდელო!

**ეფისკოპოზი**. შემინდე, შემინდე! (მისჩერებია) შემინდვია. რა საქმე გაქვს ჩემთან?

**მღვდელი**. ყოვლად სამღვდელოვ! ნუ გამომჰკრით ყელს, შეიბრალეთ ჩემი ცოლშვილი. თუ იმ ადგილიდან გადამიყვანეთ, დავიღუპე და ის არის.

**ეფისკოპოზი**. აქამდის შენა სჭამე, გეყოფა, აწი სხვამ სჭამოს.

**მღვდელი**. ყოვლად სამღვდელო, სახლი იქ მაქ, კარი, ვენახი, ადგილი და მამული და ახლა ჩემი იქიდან გადაყვანა რა მადლია?!.

**ეფისკოპოზი**. მადლი რა არის და ცოდვა, ეს მე უკეთ ვიცი.

**მღვდელი**. თქვენ უკეთ მოგეხსენებათ ყოვლად სამღვდელო, მარა... თუ იმან ორმოცი მოგართვათ, მე სამოცს მოგართმევთ და ნუ გამირისხდებით, დამტოვეთ ისევ ჩემ ადგილზე.

**ეფისკოპოზი**. შე სულელო, გამოტვინებულო! მე კი არ მომართვა, მონასტერს შესწირა, მონასტერს.

**მღვდელი**. მეც შევსწირავ, ყოვლად სამღვდელო! იმან ორმოცი შესწირა, მე სამოცს ვსწირავ. (სიჩუმეა).

**ეფისკოპოზი**. მეცოდები, შე საბრალო, მეცოდები. ბებერი მღვდელი ხარ, მარა სოფელი გიჩივის, სოფელი.

**მღვდელი**. ოღონდ თქვენ ნუ გამირისხდებით, ყოვლად სამღვდელოვ და მე და სოფელი ერთმანერთში გამოვრიგდებით (პაუზა).

**ეფისკოპოზი**. (ფიქრის შემდეგ) კირილე აქ არის?

**მღვდელი**. აქ გახლავთ ყოვლად სამღვდელოვ.

**ეფისკოპოზი**. აბა რაღა გიყო? ის ახლა ფულს მოიტანდა, მონასტრის შესაწირავს და შენ რაღა მოგიხერხო?

**მღვდელი**. მეც მოვიტანე, ყოვლად სამღვდელოვ! (გადიწევს ანაფორას, ამოიღებს ქაღალდის ფულს და დაუდებს წინ).

**ეფისკოპოზი**. (თვლის) სამოცია. კარგი, კარგი. ამას მონასტერს გავუგზავნი, საიქიოს მადლათ ჩაგეთვლება. წადი, მარა ფრთხილათ იყავი, ხალხს ნუ გადიმტერებ.

**მღვდელი.** შენი ლოცვა-კურთხევა ნუ მომაკლოს მამა ზეციერმა. (თავს უკრავს, ხელზე ემთხვევა და გადის. ეფისკოპოზი ფულს მაგიდის უჯრაში ინახავს. შემოდის მღვდელი კირილე).

**კირილე.** გვაკურთხე ყოვლად სამღვდელოვ! (ეფისკოპოსი ხელს უწვდის, კირილე ეამბორება).

**ეფისკოპოზი.** რას ეჩხუბებოდი იმ საწყალ ბერიკაცს? ხომ იცით, რომ მე ამ დროს ვლოცულობ? ღმერთს ვავედრებ თქვენს ცოდვილ თავებს!

**კირილე.** მაპატიე ყოვლად სამღვდელო, მარა მყრალი ენა აქვს. იმისთანა რამე მითხრა, რომ გულმა აღარ მამითმინა

**ეფისკოპოზი.** ახლა რა გინდა?

**კირილე.** როგორც თქვენგან მქონდა ნაბძანები, მონასტრის შესაწირავი ფული მოგართვით. (ჯიბეში იყოფს ხელს).

**ეფისკოპ.** ჰო, მოიცადე, მოიცადე! (მღვდელს ხელი ჯიბეში დარჩება). ბებერი მღვდელია, ცოდვა არის. ჩაკვდება მალე და მაშინ გადაგიყვან იმის ადგილზე.

**კირილე.** ყოვლად სამღვდელო, იმის სიკვდილს რომ ვუყურო, მე იქნება იმაზე ადრე ვკვდები.

**ეფისკოპოზი.** თუ მოკვდები და მოკვდი, ეგეც მე ვიდარდო?

**კირილე.** (გულნაწყენი თავს უკრავს და გატრიალდება) იმ მამაძაღლმა მეტი მისცა უთუოთ, მეტი. პირდაპირ ეგზარხოსს გავუგზავნი დანოსებს, მისთანა საქმეს ვუზამ, რომ ანაფორა მთლათ გაჰხადონ. (გადის).

**ეფისკოპოზი.** კარგი კი იყო, რომ ეს ორმოცი თუმანიც როგორმე ჩამეგდო ხელში. (შემოდის შუახნის მთავარი; მდაბლათ თავს უკრავს).

**მთავარი.** გვაკურთხე ყოვლად სამღვდელო. (ხელზე ემთხვევა).

**ეფისკოპოზი.** რისთვის მოსულხარ ჩემთან?

**მთავარი.** ყოვლად სამღვდელო! შეიბრალეთ ჩემი ცოლშვილი. თორმეტი ქალვაჟი მყავს და ვეღარ გავართვი თავი.

**ეფისკოპოზი.** მერე მე რა გიყო? რაზე აკეთებდი ამდენს?

**მთავარი.** ღმერთმა მამცა, დეილოცა მისი სამართალი და ხომ ვერ გადავყრიდი.

**ეფისკოპოზი.** ღმერთმა მოგცა, ღმერთმა! მაგის მეტი საქმე კი აღარა აქვს ღმერთს. თუ აკეთებდი, კიდეც არჩინე, მე რა გიყო?

**მთავარი.** ნუ გამირისხდები, ყოვლად სამღვდელო! მთავრობაში ვბერდები და იმდენი წყალობა მოიღეთ ჩემს თავზე, რომ სული მაინც ამომივიდეს მღვდლის ანაფორაში.

**ეფისკოპოზი.** მერე რა გინდა?

**მთავარი.** მაკურთხეთ მღვდლათ.

**ეფისკოპოზი.** მღვდლათ გაკურთხო! რაღა დროს შენი მღვდლობაა, აწი მთავრათაც აღარ ვარგიხარ.

**მთავარი.** თქვენი რისხვა არ მამეცეს, ყოვლად სამღვდელო, წირვას სულ ზეპირათ შევასრულებ და ისე მიცვალებული რომ მესვენოს ეკლესიაში, ასივეს ისე მოვხდი თავ-თავის მოვალეობას, რომ ერთს არ ამოვიკლებ.

**ეფისკოპოზი.** ადგილი არ არის. რაცა გაქვს მაგითიც კმაყოფილი იყავი.

**მთავარი.** თუ მოინდომებთ, ყოვლად სამღვდელო, კი გამოაჩენთ ადგილს.

**ეფისკოპოზი.** გამოაჩენ, გამოაჩენ! მერე არ იცი ადგილის გამოჩენას რა უნდა? (მთავარი ჩაფიქრებული და თავჩაქინდრული დგას) შენისთანა გლახა რომ მღვდლათ ეკურთხოს, ღმერთსაც უნდა ერგოს რამე, ეკლესიასაც, მონასტერსაც, რომ იქნება მადლათ ჩაგეთვალოს და მთლათ არ მოგიძულოს სული წმინდამ, თორემ შუა წირვაზე დაგეძინება, შე საცოდავო!.. რას გაჩუმებულხარ? არ იცი, რომ მონასტერს ორმოცი თუმანი უნდა შესწირო, თუ მღვდლობა გინდა?

**მთავარი.** მთლათ რომ გავიყიდო ცოლშვილიანა, ორმოც თუმანს მაინც ვერ მოვუყრი თავს.

**ეფისკოპოზი.** აბა რას მოეთრეოდი ჩემთან? მე შენს მეტი საქმე არა მაქვს თუ?

**მთავარი.** რავა არა გაქვთ, ყოვლად სამღვდელო, მარა იქნება შემიბრალებდით; ერთი ღარიბღატაკი, ცოლშვილით დაჰვირთული მთავარი ვარ.

**ეფისკოპოზი.** შე უბედურო! ორმოც თუმანს ექვს თვეში აიღებ, თუ ჭკუით იქნები.

**მთავარი.** ვეცდები, ყოვლად სამღვდელო, რო ვიშოვო როგორმე.

**ეფისკოპოზი.** ჰო, ეცადე, ეცადე. ადგილი არსად არ არის, მაგრამ მებრალები და გამოგინახამ როგორმე. (მთავარი ხელზე ემთხვევა და თავჩაქინდრული გადის).

**ი. გომართელი.**

(შემდეგი იქნება)



ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამოცანა.

(ხონისათვის)

ყველასათვის სანატრელი,
ცოცხი არის ჯერ „ახალი“
დილით ადრე წამოხტება,
რომ მით მუშტარს მოსჭრას თვალი.
წამლებს ბლომათ გამოუწერს
თუ გინდ იყოს მომაკვდავი,
და თვით რწყილსაც გაატყავებს
არ მოგიკვდეთ ჩემი თავი.

ა. აბზიანიძე.

---

## წერილები რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! „ეშმაკის მათრახის“ მეცხრამეტე ნომერში მოთავსებულია ბ. ბებურიშვილის წერილი, რომლითაც, მრავალგვარ ტრაბახობასთან ერთად, სამედიატორო სამართალში მიწვევს მე. მე არ გამოვუდგები აქ ბებურ ბებურიშვილის „ქველმოქმედების“ დასურათებას, რადგან ეს კარგათ ესმის იმ საზოგადოებას, რომელიც მან „გააბედნიერა“, მე მხოლოდ საქმეს შევეხები.

სხვადასხვა გარემოებათა მიხედვით მე არ შემიძლია პირადათ დავესწრო სამედიატორო სამართალს, რომელშიაც ბ-ნი ბებური მიწვევს; ამისათვის ვსთხოვ რედაქციას დანიშნოს თავის მხრივ ორი საიმედო პირი და მე წარმოვადგენ საკმარის საბუთებს ღირსი იყო თუ არა ბებურიშვილი ჩემ მიერ მოწოდებული წერილისა.

კორესპოდენტი „სავა“.

**რედაქციისაგან.** რომ საბოლოოთ მოვსპოთ ეს კამათი, „ეშმაკის მათრახის“ რედაქცია ასახელებს მედიატორებათ ბ-ნთ ნიკო ელიავას და ვარლამ წივწივაძეს, რომლებსაც რედაქცია წარუდგენს საჭირო ცნობებს, რომლებთანაც ვსთხოვთ იქონიონ მოლაპარაკება ბებურიშვილის მედიატორეებმა.

---

ბატონო რედაქტორო! ნება მომეცი პასუხი გავსცე:

**პართენ მურუსიძეს.**

რა გინდა ჩემთან, რომ არ მისვენებ
შენის ნაკალმით „კარგო“ პართენა,
აბა მითხარი შენს საავუგოთ
როდის დავძარი ეს ჩემი ენა?
მე სადმელლების ომი გავქიცხე
ის გასაკიცხი—თავლაფ დასხმული,
და შენი ხტუნვა აქ რა შუაშია
რაზედ მოგსვლია ძმობილო გული?!!
თუ ერთი შენც ხარ იმათ რიცხვიდან
იმ ოქმზე ხელი ვინც მოაწერა,
სასამართლოში რაზედ სწუხდები
მე ხომ ისა ვთქვი შიგ რაც ეწერა?
ეხ, ჩემო პართენ! ალბათ გგონია:
გასამართლება ეხლა მოდაა!
ვაგლახ დროს, თორემ მათრახის ნაცვლათ
როზგიც რომ მოგხვდეს ძლიერ ცოტაა!..

ნაცნობი.


# ავადმყოფებს და სუსტებს
# „სპერმატინი“

თუ თქვენ დასუსტებული ხართ ფიზიკურ ან გონებრივ მუშაობით, თუ ჯანი გაიტეხეთ, ნერვები დაისუსტეთ ან ესა თუ ის სენი გჭირთ, სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით, არის „სპერმატინი“. იგი სასურველ შვებას მოგცემთ. მას არ შეიძლება მედიკამენტი ვუწოდოთ, რომელიც ერთ რაიმე ადგილზე მოქმედებს, არა! ეს ნივთიერება სრულიად უვნებელია, იგი ცხოვრების ესენციაა, იგი ძალის მომმატებელია. „სპერმატინი“ მოქმედებს სისხლზე და აახლებს მას, აშორებს რა მავნე ელემენტებს, ჰხვდება რა იქ, სადაც უჯრედები ორგანიზმში რაიმე სენის ან სიბერის გავლენის ქვეშ იმყოფება, „სპერმატინის“ ნაწილები, ჯანმრთელობის დარაჯნი, იწყებენ ნაყოფიერ მუშაობას უჯრედების აღსადგენად, აწვდიან მას ახალ სისხლს და ახალ ძალას და ამით შეძლებას აძლევენ ბრძოლისას როგორც სენთან, ისე ყველაფრის განმანადგურებელ დრო-ჟამთან „სპერმატინი“ შედეგია ბროუნ-სეკარის შესანიშნავ აღმოჩენისა. შველის ყველაფერს: სისხლნაკლებობას, ძალის სისუსტეს სიბერეში, მარაზმს, დაუძლურებულ ნერვიულ სისტემას, მამაკაცის სიუძლურეს, გადაჭარბებულ დაღლილობას გონებრივ და ფიზიკურ მუშაობის დროს, ონანიზმის შედეგს და წითელ ქარს, სიფილისს, სურავანდს, დამბლას, სქესობრივ მოჭარბებულ ურთიერთობის შედეგს, ხერხემლის ტვინის სატკივარს, ჰლექს, ქარებს, ქრონიკულ მუცლის შეკვრას, ბუასილს, ბნედას და სხვას. ეს საშუალება საუკეთესო ნაყოფს იძლევა.

### ავადმყოფთა წერილები.

**ბ. ი. ახობაძე! მ. ხ.** ამას წინათ გამოვიწერე თქვენგნით 2 ფლაკონი სპერმატინი, რომლის მიღების შემდეგ უკეთ ვგრძნობ. დარწმუნებული ვარ, იგი არის საუკეთესო საშვალება ნერვების სისუსტისათვის, რომლითაც მე 5—6 წელიწადი ვიტანჯებოდი, ვიდრე მე თქვენგნით გამოვიწერდი, მანამდის გამოვიწერე 4 ფლაკონი სპერმინი კოლენიჩენკოსი გავლილი წლის ნოემბერში, მაგრამ არავითარი საშვალება ჩემთვის არ მოუცია, ამიტომაც გულ-წრფელ მადლობას ვწირავთ და ამასთანავე გთხოვთ წერილის მიღებისათანავე გაგზავნოთ 2 ფლაკონი სპერმატინი ახალციხეში, რომელსაც უგზავნი ჩემ ძმას, რომელიც იგივე ნერვების სისუსტით არის ავათ.

ადრესი: ახალციხე, სევასტი პეტრეს ძე ნებიეროვი. პატივისცემით ნიკო ნებიეროვი. სოფელი ბარდა. 31 იანვარი 1908 წელი.

„სპერმატინმა“ ი. ნ. ივანოვისამ დაიმსახურა აუარებელი სამადლობელი წერილი, ოქროს მედალი და უმაღლესი ჯილდო რუსეთში, ლონდონში, პარიზში და ბრიუსელში.

„უფრთხილდით სიყალბეს და მიბაძვას. წიგნაკები უფასოდ. ფასი ერთი ფლაკონისა 2 მ. 40 კ. გაგზავნა ერთიდან 4 ფლაკონამდე 40 კ. 5-დან 10-დე 65 კ. შუა აზიაში ორჯერ ძვირია, აღმოსავლეთ ციმბირში—სამჯერ. გამოწერა შეიძლება ფოსტით, მხოლოდ წინდაწინვე უნდა გამოიგზავნოს ბე ფოსტის მარკებით ან ფულით—მესამედი ფასისა.

მსურველს, ი. ნ. ივანოვის „სპერმატინის“ ვთხოვთ მიმართონ ჩვენ წარმომადგენელს მთელ კავკასიისათვის ი. გ. ახობაძეს. ადრესი: თფილისი, ვერა, მოსკოვის ქუჩა სახ. № 4. ან „სპერმატინის“ კანტორის განყოფილება: ბაქოში, ი. გ. ახობაძეს. სტარო-პოლიციის ქუჩ. სახ. ლაზარევისა № 14. და ქუთაისში, აფთიაქის საწყობში კოკოშვილთან მოიკითხეთ „სპერმატინი“ ახობაძისა. ჭიათურაში იაშვილის აფთიაქში. ფოთში ბ ნ კოხრეიძესთან. ცაგერში—ბ-ნს არსენ მჟავანაძესთან.

**წარმომადგენელი კავკასიისთვის ი. გ. ახობაძე.** თფილისი, პუშკინის ქუჩა, სახ. № 15, ქარვასლის პირდაპირ. **უბეოდ საქონელი არ იგზავნება.**




**სამწუხარო შედეგი**

## „ეშმაკის მათრახის“ ფოსტა.

**ბაქო.** ბ-ნ სიმონ ნიკურაძეს. თქვენ შესახებ მოთავსებულ (№ 17) წერილის ავტორს რედაქცია ვერ დაგისახელებთ. საპასუხო წერილი დაიბეჭდება თუ საფუძვლიანი გამოდგება და ამასთანავე გაცნობებთ, რომ წერილის დაბეჭდვას ფასი არავითარი არ სჭირია.

**ხიდისთავი.** (გურია) დართალს. საინტერესო წერილებს დიდის სიამოვნებით დავბეჭდავთ. ეს ლექსი-კი არ იბეჭდება.

**ბაქო** ხალს. როგორც ზემოაღნიშნული წერილიდან დაინახავთ ბ-ნ ნიკურაძეს სურვილი აქვს თავი იმართლოს თქვენი ბრალდებისაგან. გარდა ამისა გთხოვთ შემდეგისათვის იცოდეთ, რომ ჩვენ როდესაც ცნობას ვბეჭდავთ სახეში გვაქვს საზოგადო სარგებლობა და არა ვისიმე პირადათ დავალება.

**ქუთაისი.** ევოს. თქვენი გასართობი: „ს. ფ. ყროყინაპროპაგანდისტი“ არ დაიბეჭდება.

**ქუთაისი.** რევიზორ—ეშმაკს. შესახებ უკვე ც ობილი ინციდენტისა ველით შენს განკარგულებას. ან—კი ან არა.

**ფოთი.** გმირს. თქვენი გმირობა უმჯობესი იყო სხვა საქმეში გამოგეჩინათ. ახლა გაცნობებთ, რომ თქვენზე ნაკლებ არა ვცემთ პატივა მგოსანი აკაკის მოღვაწეობას, მაგრამ „ნიშადურში“ დაბეჭდილი ლექსი „ჩონგური“ მხოლოდ ჩირქსა სცხებს მის სახელსა და ზნეობრივათ აქვეითებს მკითხველს. ჩვენ ისიც ვიცით, რომ ოღონდ აკაკის სახელი ეწეროს და „ნიშადური“ ყოველგვარ უწმაწურობას დაბეჭდავს, მაგრამ „ნიშადურის ეთიკა“ ჩვენთვის ხომ სავალდებულო არ არის.

რედაქტორ-გამომცემელი თ. ბოლქვაძე.

ელქტრომბეჭდავი ამხანაგობა

„შრომა“

გადავიდა მიხაილოვის ქუჩიდან რუსკი ქუჩაზე სომეხთა სასულიერო სემენარიის ახალ შენობაში.

ღებულობს ქართულ და რუსულ საბეჭდავ საქმეებს.

ეშმაკის მათრახის რედაქცია.

სთხოვს კორესპოდენტებს და ხელის მომწერთ წერილები და ფული შემდეგ ადრესზე გამოგზავნონ:

Типографія Т-ва „Шрома“ Т. Е. Болквадзе.
Русская ул. д. Арм. Дух. Семинарій. № 3.